სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება № 01-05-04/202

ქ. თბილისი

29 დეკემბერი 2025წ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2026 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, მე-8 მუხლის, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის თამაზ ურთმელიძის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/29 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შიდა აუდიტის სამსახურის 2026 წლის სამოქმედო გეგმა (იხ. დანართი);
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**